

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს

დადგენილება N5

ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1 პუნქტის ე) ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის N119/ნ ბრძანების მუხლი 20-ს 6-პუნქტი, „სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მუხლი 8-ს 1-პუნქტის ე-ქვეპუნქტი, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 21 მაისის სხდომის ოქმი N 1 საფუძველზე აკადემიური საბჭო ადგენს

1. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის არჩევნები დაინიშნოს 2015 წლის 15 ივნისს.

2. გამოცხადდეს კონკურსი ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად და განცხადება განთავსდეს საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდზე **2015 წლის 21 მაისს.**

3. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობის მსურველ კანდიდატთა რეგისტრაციის მიზნით კანდიდატებმა სავალდებულოა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

1. განცხადება საარჩევნო კომისიის სახელზე

2. პირადობის მოწმობის ასლი

3. CV

4. უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი

5. სამსახურის სტაჟის დამადასტურებელი საბუთი (შრომის წიგნაკის ამონაწერი)

6. ორი ფოტო სურათი (3X4)

კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს - 9:00 საათიდან 17:00 საათამდე.

4. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს ყოველდღე გარდა კვირისა, 2015 წლის 25 მაისიდან 10 ივნისის ჩათვლით, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის მიერ **10 საათიდან 17 საათამდე.** მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის N 49, პირველი სართული ოთახი 116.

რექტორის მ/შ, აკადემიური საბჭოს

თავმჯდომარე,

პროფესორი

აკადემიური საბჭოს მდივანი

პროფესორი



ჯემალ მაგანია

ნინო ქოჩაკიძე